ეროვნული ბიბლიოთეკა





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 259 (5289)

1974 წ. 29 დეკემბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქართველოს „თეთრ მარგალიტში" უკვე ხალხმრავლობაა, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ, როცა მოსწავლეთა ზამთრის არდადეგები დაიწყება, თხილამურებითა და ციგებით სრიალის მოყვარულთა არმია საგრძნობლად გაიზრდება.

თეთრად დატკეპნილ დაბის ქუჩებში ფეხით სიარულს ან ცხენებშებმული მარხილით სრიალს რა სჯობია, როცა ადამიანი ანკარა, ცივ ჰაერს სუნთქავს, აქ ხომ თოვლი გუნდაობისთვისაც საკმარისზე მეტია და „თოვლის პაპის" გასაკეთებლადაც.

და მაშინ, როცა აქტიური დასვენების მოყვარულები დაბის ქუჩებში, პარკში დასეირნობენ, ან პატარა ფერდობებიდან ციგებითა და თხილამურებით ეშვებიან, სპორტსმენებს თავიანთი საზრუნავი აქვთ — წინ არის „მფრინავ მოთხილამურეთა" საერთაშორისო შეჯიბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე, საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადა, საკავშირო თასების გათამაშება და ვინ მოთვლის, რამდენი და რა მასშტაბის შეჯიბრება. ამიტომ მათ „სასეირნოდ" სპორტული ტრასები, ტრამპლინები აურჩევიათ: 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტებიან, კოხტაგორაზე სამთო სახეობებში ვარჯიშობენ, დიდველზე დარბიან...

# სპარტაკიადიდან ოლიმპიადამდე

წესია, სანამ ახალი წელი დადგებოდეს, კიდევ ერთხელ უკან უნდა მივიხედოთ, გაწეული შრომა შევამოწმოთ, მომავლისთვის საჭირო დასკვნები გავაკეთოთ. ამ დღეებში საქდესის კორესპონდენტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ს. პავლოვს შეხვდა და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● როგორ ხორციელდებოდა 1974 წელს მასობრივი ფიზკულტურის საყოველთაო-სახალხოდ გადაქცევის ამოცანა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ დაგვისახა? რა როლს ასრულებდა ამ საქმეში მშდ კომპლექსი?

— მიმავალი 1974 წელი მასობრივი სტარტების წელი იყო. ამ წლის პირველ ნახევარში დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადა, ზაფხულში კი დაიწყო მასობრივი სტარტები ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადისა, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს ეძღვნება.

ეს შეჯიბრებები საუცხოო საშუალებაა სტადიონებზე მილიონობით ადამიანის მიზიდვისა, მათში სპორტის სიყვარულის გაღვივებისა, მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანმრთელობის განმტკიცებისა. სულ ზამთრის სპარტაკიადაში 20 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა. ამ სპარტაკიადამ, რომელიც რვაწლიანი შესვენების შემდეგ ჩატარდა, ხელი შეუწყო სპორტის ზამთრის სახეობათა პოპულარიზაციას ბევრ რესპუბლიკაში. ახლა ამ ამოცანას სსრ კავშირის პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადა შეასრულებს.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში 28 მილიონი ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სპარტაკიადაში — 2 მილიონი. ორივე ეს გრანდიოზული ასპარეზობა სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის შემადგენელი ნაწილია.

ზამთრისა და ზაფხულის სპარტაკიადები ტარდებოდა და ტარდება დევიზით „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის". მშდ ახალი კომპლექსი საუცხოო სტიმულია სპორტის განვითარებისა, სპორტული კოლექტივების განმტკიცებისა, ფიზკულტურელთა რიგების ზრდისა. გასულ ზამთარში მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა არმიას 7 მილიონი ადამიანი შეემატა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისინი, ვინც უკვე მოიპოვა მშდ კომპლექსის ნიშნოსნის სახელი, არ დასჯერდნენ მიღწეულს და არ შეწყვიტონ სპორტში მეცადინეობა. სწორედ ამიტომ, ახლა საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში შეტანილია მშდ კომპლექსის სათანრიგო მოთხოვნები, შემოღებულია სპორტის ოსტატის წოდება. მასობრივი გამოდგა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე გამართული პირველი საკავშირო ჩემპიონატი. ამ ასპარეზობის ფინალი, რომელიც სოჭში ჩატარდა, საბჭოთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ნათელ დღესასწაულად იქცა.

● თქვენი აზრით, მასობრივი ფიზკულტურის განვითარება საწარმო-დაწესებულებებში უფრო პერსპექტიულია, თუ საცხოვრებელ ადგილებში?

— რა თქმა უნდა, ბევრი რამ უნდა გაკეთდეს და კეთდება კიდეც იმისთვის, რომ, თუ ხატოვნად ვიტყვით, სტადიონი ფიზკულტურელებს დავუახლოოთ. მაგრამ საცხოვრებელ რაიონებში, მასობრივი მშენებლობის ადგილებში სპორტული ნაგებობების რიცხვი ჯერ კიდევ მცირეა. საბინაო-საექსპლოატაციო კონტორებში ჯერ კიდევ არ ჰყოფნით ფიზკულტურის ინსტრუქტორები. ფიზკულტურის კოლექტივებსა და სპორტსაზოგადოებებს კი აუცილებელი ინვენტარი აქვთ და გამოცდილი კადრებიც ჰყავთ. ახლა საბჭოთა კავშირში არის 3000-ზე მეტი სტადიონი, 55,5 ათასი სპორტული დარბაზი, 1179 აუზი. სხვათა შორის, ყველა სპორტულ ბაზას ერთდროულად შეუძლია 25 მილიონ ფიზკულტურელს მოემსახუროს. აი, რატომ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ამ ბაზის რაციონალურად გამოყენება. ზოგჯერ ხდება, რომ საუცხოო, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული და მოწყობილი კომპლექსი სათანადოდ დატვირთული არ არის. ხშირად ამის მიზეზია უწყებრივი ზღუდეები, მაგრამ უმეტესად ეს მნიშვნელოვანი საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო ხდება.

● ფიზკულტურული მუშაობის რა ახალი ფორმები მიგაჩნიათ საინტერესოდ?

— სავსებით ბუნებრივია, რომ ფიზკულტურული მუშაობის ახალმა ბღმავლობამ ახალი ფორმებიც მოითხოვა. დამკვიდრდა ჯანმრთელობის სპარტაკიადები, სპორტული ოჯახების შეჯიბრებები, რბენის მოყვარულთა კლუბები და ბევრი სხვა.

მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში ძალზე მნიშვნელოვანია შაბლონისგან, ძველი სქემებისგან თავის დაღწევა, მშდ კომპლექსის სტარტებისა და სასპარტაკიადო შეჯიბრებების ნამდვილ დღესასწაულად გადაქცევა. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის ჩატარების დროს. აუცილებელია, რომ ამ ჩვენთვის ძვირფას თარიღთან დაკავშირებული ღონისძიებები კარგად მოფიქრებული იყოს, ხაზს უსვამდეს საბჭოთა ხალხის თაობათა მემკვიდრეობითობას. დევიზში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ულრმესი აზრია ჩაქსოვილი.

● როგორი იქნება მოკლედ წლის შედეგები „დიდ სპორტში?"

— ვფიქრობ, საერთო ჯამში მიმავალი წლით კმაყოფილი უნდა ვიყოთ. 41 მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენმა სპორტსმენებმა შარშანდელზე ორჯერ მეტი ოქროს მედალი მოიპოვეს — 109. გარდა ამისა, მათ ანგარიშზეა 66 ვერცხლისა და 45 ბრინჯაოს ჯილდო. ევროპის 25 პირველობაში წითელმაისურიანმა ათლეტებმა 70 ოქროს, 46 ვერცხლისა და 47 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

1974 წლის სპორტულ სეზონში კარგად გამოვიდნენ მოჭიდავეები, ტანმოვარჯიშეები, კალათბურთელები, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნები, ფარიკაობები, მოთხილამურე ქალები, ჰოკეისტები, მოჭადრაკეები, მოფარიკავეები და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძალოსნები. სამაგიეროდ, სერიოზული პრეტენზიები გვაქვს ფრენბურთელების, მოციგურავეების, მოთხილამურეების, მოცურავეების, მძლეოსნების, ფეხბურთელებისა და ზოგიერთი სხვა სახეობის წარმომადგენლების მიმართ.

მომავალი წელი წინაოლიმპიურია და იგი რაც შეიძლება ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ. დღევანდელი წარმატებებით თვითდამშვიდებას არ უნდა მივეცეთ, საჭიროა შეუპოვრად მუშაობა მომავალი წინსვლისთვის.

ჩვენი დიდი სპორტის მიღწევების საფუძველი მუდამ მასობრიობის ფართო მასშტაბები იყო. ჩვენ ვთვლით, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო და პროფკავშირთა VIII ზამთრის სპარტაკიადების ფინალები, რომლებიც 1975 წელს გაიმართება, ხელს შეუწყობს ახალი ვარსკვლავების აღმოჩენას, ახალი ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენას. (საქდესი).

ბაკურიანის ქათქათა თოვლი, თხილამურებით დასერილი ველები და მთის ფერდობები გულუხვი მასპინძელია სპორტსმენებისა და უამრავი დამსვენებლისთვის.



# გიგანტურ და სპეციალურ სლალომში

ყაზახეთში, ჩიმბულაკის მთის ფერდობებზე, გრძელდება სამთომოთხილამურეთა საკავშირო პირადი ჩემპიონატის I ტურის შეჯიბრებები. გამოვლინდნენ გამარჯვებულნი გიგანტურ სლალომში და სპეციალურ სლალომში ვაჟთა შორის.

გიგანტურ სლალომში ორი დაშვების ჯამში, ისევე როგორც სწრაფდაშვებაში, ქალთა შორის იმარჯვა ბელორუსელმა ნ. პერჩატკინამ („სპარტაკი") — 1.44,8. კიევის დინამოელი ს. ლებედევა ამ სახეობაშიც II ადგილზე გავიდა — 1.45,6. კემეროვოელი ნ. ტურკოვსკაია („ბურევესტნიკი") III ადგილს დასჯერდა — 1.48,1.

ვაჟთა შორის უძლიერესმა მ. ჭუსაინოვმა (ალმა-ათა, ასკ — 2.38,9) 0,7 წამი მოუგო კიევის დინამოელ ვ. სემიონოვს. მინსკელი ს. პენივინის („ბურევესტნიკი") შედეგია 2.39,9. ამან სპორტსმენს III ადგილი მოუტანა.

გუშინწინ ვაჟები სპეციალურ სლალომში ასპარეზობდნენ. პირველობა მოიპოვა ნ. სნეჟკოვმა (ლენინგრადის ოლქი, „შრომითი რეზერვები").

# მორიგი სტარტები

კრასნოგორსკში მოეწყო სსრ კავშირის უძლიერეს მოთხილამურეთა ტურნირის მორიგი სტარტები. ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბენაში იმარჯვა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა რ. სმეტანინამ (სიკტივკარი, სოფლის სპორტსაზოგადოებების ნაკრები) — 18.16,2.

ვაჟთა შორის 15 კილომეტრზე ასპარეზობა მოსკოვის არმიელმა ს. საველიევმა მოიგო — 47.42,2. წინადღით 20 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებული, სიკტივკარის დინამოელი ვ. როჩევი მას ნახევარი წუთით ჩამორჩა. მსოფლიოს ჩემპიონები, დინამოელები ფ. სიმაშოვი (49.26) და ფ. ვედენინი (49.39,8) შესაბამისად V და VII ადგილებზე გავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კადრები წყვეტენ ყველაფერს

თბილისში გაიმართა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის სოფლის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივნისის დადგენილების შესრულებისთვის. მოხსენებით გამოვიდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულენტი.

მომხსენებელმა თქვა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების საერთო მიღწევებში გარკვეული წვლილი შეაქვთ „კოლმეურნის" ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტსმენებს. მომზადდა 3 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 54 სპორტის ოსტატი, 108 ოსტატობის კანდიდატი, 714 პირველთანრიგოსანი და დანარჩენი თანრიგების 56 ათასამდე კაცი. მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა 52 ათასამდე კაცმა.

სოფლის ახალგაზრდობის რესპუბლიკური თამაშების კომპლექსურ ჩათვლაში ოლქებს შორის I ადგილი დაიკავეს აფხაზეთის, II — აჭარის კოლექტივებმა. რაიონებს შორის I ადგილი ხვდათ ზუგდიდის, II — სამტრედიის, III — წითელი წყაროს წარმომადგენლებს.

თამაშებმა გამოავლინა უარყოფითი მხარეებიც. „კოლმეურნის" დაახლოებით 60 რაიონული და საოლქო საბჭოდან რესპუბლიკური პირველობის ფინალურ შეჯიბრებაში, რომლის პროგრამაშიც სპორტის 12 სახეობა შედიოდა, მონაწილეობა არ მიუღიათ ადიგენის, ასპინძის, ამბროლაურის, დმანისის, თიანეთის, მესტიის, ონის, ყაზბეგისა და წალკის რაიონებს.

მხოლოდ ერთ სახეობაში მიიღეს მონაწილეობა მაიაკოვსკის, ყვარლისა და ჭიათურის რაიონებმა; ორ სახეობაში — ახმეტის, ბოლნისის, ბორჯომის, ბოგდანოვკის, ვანის, თეთრი წყაროს, თერჯოლის, ლანჩხუთისა და ხაშურის რაიონებმა.

წლეულს სოფლის სპორტული თამაშების გარდა, „კოლმეურნემ" საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად ჩაატარა სოფლის ახალგაზრდობის III რესპუბლიკური სპარტაკიადა ეროვნულ სახეობებში. გარდა იმისა, რომ რაიონების დიდ უმრავლესობას სულ არ მიუღია მონაწილეობა ამ ასპარეზობაში, ვინც სარბიელზე გამოვიდა მათი სპორტული მაჩვენებლებიც იმდენად დაბალი იყო, რომ თავიანთს გუნდებს ჩასათვლელი ქულებიც ვერ მისცეს.

აღნიშნული მდგომარეობა იმის შედეგია, რომ საოლქო და რაისაბჭოების თავმჯდომარეები, მწვრთნელები, ინსტრუქტორები ნაკლებად ზრუნავენ მასობრივ-ფიზკულტურული და სასწავლო-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის. აბა რით შეიძლება აიხსნას ის, რომ ქართული ჭიდაობის წარმომადგენელთა რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობა არ მიიღეს ახმეტის, გარდაბნის და მცხეთის რაიონებმა, სადაც აღიზარდნენ მსოფლიოში ცნობილი მოჭიდავეები.

წარუმატებელი გამოდგა სპორტსაზოგადოების ნაკრები კოლექტივის მონაწილეობა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების ფინალურ შეჯიბრებებში, — განაგრძო მომხსენებელმა. წლეულს ჩატარებულ სოფლის საკავშირო II სპორტულ თამაშებში IX ადგილზე გავედით. ეს პირველ ყოვლისა საოლქო და რაიონული საბჭოების სუსტი მუშაობის შედეგია. ძალიან იმოქმედა, აგრეთვე, იმ გარემოებამ, რომ ჯერ კიდევ ხდება საზოგადოებიდან საზოგადოებაში სპორტსმენთა გადაყვან-გადმოყვანის ფაქტები. საერთო შედეგებზე ასევე უარყოფითად იმოქმედა სოფლის ახალგაზრდობის შარშანდელი ჩემპიონის, სპორტის ოსტატის, ძალოსან ოსანაძის უპასუხისმგებლო გამოსვლამ, რომელმაც შეფასება ვერ მიიღო, მსოფლიოს ჩემპიონი სამბისტი გიორგაძე დაშავდა.

გუნდები დაკომპლექტებული იყო საოლქო და რაიონული საბჭოების წარმომადგენლებით. მხოლოდ ერთი მონაწილე მოგვცა ისეთმა დიდმა ორგანიზაციამ, როგორიცაა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, რესპუბლიკის 29 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიდან მხოლოდ დიდი ჯიხაიშის სასწავლებელმა გამოგზავნა ერთი სპორტსმენი. არც ერთი სპორტსმენი არ მოუცია თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტს.

ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული კვალიფიციური მწვრთნელებითა და მასწავლებლებით სოფლის ორგანიზაციების უზრუნველყოფის საქმე. ასევე ცუდია სპორტული ფორმებითა და ინვენტარით მათი მომარაგება.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური საბჭოს სპორტმასობრივი ღონისძიებების კალენდარული გეგმით გათვალისწინებულია, დავიწყებას მიეცა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებისა და მოსავლის აღებისადმი მიძღვნილი მასობრივი შეჯიბრებები. არ ტარდება კროსები, ესტაფეტები, სააგიტაციო გადარბენები. ყოველივე ზემოჩამოთვლილმა განაპირობა, რომ სოფლის II საკავშირო თამაშებში III საპრიზო ადგილიდან IX გადავინაცვლეთ.

როგორც ცნობილია, გაისად საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა ტარდება. ჩვენი მიზანია საგრძნობლად გავზარდოთ სოფლის სპორტსმენთა წარმომადგენლობა რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში.

მშდ კომპლექსის შემოღებამ საგრძნობლად გამოაცოცხლა სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. ამ მხრივ კარგ შედეგებს მიაღწიეს თელავის, მახარაძის, ზუგდიდის, სამტრედიის, ხელვაჩაურის, გურჯაანის, წალენჯიხის, ლანჩხუთის და წითელი წყაროს რაიონებმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა. მაგრამ ეს ყველა რაიონზე როდი ითქმის. შემოწმებით დადგინდა, რომ მშდ-ს არც ერთი კომპლექსის ნიშნოსანი არ მოუმზადებიათ ჯავისა და დმანისის სოფლის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, წარმოდგენილი კი ჰქონდათ ცნობები ნიშნოსნების მომზადების შესახებ.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, საწარმოო ტანვარჯიშმა სოფლის ორგანიზაციებში სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თამარაშენის, ერედვის, ბეკმარის, ზაკორსკის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ათასზე მეტია, ინსტრუქტორ-მეთოდისტის არსებული საშტატო ერთეულები გააუქმეს. ანალოგიური მდგომარეობაა ბორჯომის რაიონის ციხისჯვრის, ბაკურიანის ნადირმშენის, ბოლნისის რაიონის რატევანის და ადიგენის რაიონის მოხის საბჭოთა მეურნეობებში.

სოფლის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს კვალიფიციური სპეციალისტები აკლიათ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ყოველწლიურად ღებულობენ სოფლის ახალგაზრდობის გარკვეულ პროცენტს, მათი უმრავლესობა სოფელს არ უბრუნდება. კარგი იქნება კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ინსტიტუტში მიავლინონ პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თავიანთ სოფლებს დაუბრუნდებიან.

კამათის მონაწილეებმა, „კოლმეურნის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ შ. მიქელაძემ, აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ თ. ბოლქვაძემ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ ბ. ლაპარტყავამ, ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პარტბიუროს მდივანმა ა. გვარამიამ, სამტრედიის „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. მამაცაიძემ, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორმა პ. მიქაძემ, კასპის „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარემ გ. ოთარაშვილმა, გეგეჭკორის რაიონის თამაკონის კოლმეურნეობის ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ჯ. გვილავამ, ლენინგორის „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარემ ზ. მღებრიშვილმა ყურადღება გაამახვილეს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, [illegible] მათი გამოსწორების [illegible] ამოცანებზე. შ. მიქელაძემ აღნიშნა, რომ გალის რაიონის გეგეჭკორის სახ. კოლმეურნეობას ჰქონდა ფეხბურთის მინდორი, სადაც ყველა სპორტღონისძიებების ჩატარება იყო შესაძლებელი, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით ეს მინდორი გადახნეს. ჯ. ვამაკიძემ თქვა, რომ სამტრედიაში კარგი ცხენოსნები ჰყავთ, მაგრამ ამ სახეობის განვითარებისთვის სათანადოდ არავინ ზრუნავს. თავლა საზოგადოებრივ საწყისებზე შენდება, საცხენოსნო კლუბს თანხა არ გააჩნია ხელფასისთვის, ცხენებისთვის საკვების შესაძენად. მანვე თქვა, რომ ნაბაკევში ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში არსებულ სტადიონზე მოსწრაფულის სათბური გააშენეს.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დ. პერტენავა.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია ნ. სომხიშვილი.



# სპორტის ტრფიალნი

მახარაძის რაიონის სოფელ ნასაკირალის საშუალო სკოლაზე, მის ფიზკულტურის გაკვეთილებზე ბევრს ვერავინ იტყვის. თვალის ერთი გადავლებითაც იგრძნობა, რომ აქ ფიზკულტურასა და სპორტს დიდი პატივით ეპყრობიან. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამას წინათ, როცა ნასაკირალს რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მიერ გამოყოფილ ბრიგადასთან ერთად ვეწვიეთ.

მ. გოგუაძე, სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი თავისი საქმის უსაზღვროდ მოყვარულია. იგი ცდილობს ყველა მოსწავლეს შეაყვაროს სპორტი. გოგუაძის მოწაფე ჭაბუკებს გამორჩევით მაინც ჭიდაობა უყვართ, მათი მასწავლებელი ხომ თავისუფალი და კლასიკური მოჭიდავეების მწვრთნელიც გახლავთ, თანაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ცხადია, ნასაკირალის საშუალო სკოლის მოსწავლეები ყველაზე დიდ წარმატებებს სწორედ ჭიდაობაში აღწევენ.

წლეულს მოსწავლეთა რაიონულ პირველობაში ნასაკირალის სკოლის ფრენბურთელმა ჭაბუკებმა II ადგილი მოიპოვეს, ხოლო კალათბურთელმა გოგონებმა — III.

— უნდა ნახოთ, როგორ გულშემატკივრობას უწევენ ერთმანეთს ამ სკოლის მოსწავლეები რაიონული შეჯიბრებების დროს. ამ ტურნირებს ლამის მთელი სკოლა ესწრება. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის სკოლის დირექტორს ვლასი თალაკვაძესაც, რომლისთვისაც მოსწავლეთა შეჯიბრება ჭეშმარიტი სპორტული ზეიმია, — გვითხრეს ნასაკირალში.

მართლაც, სპორტის მცოდნე და გულშემატკივარ დირექტორთა კონკურსი რომ ჩაატარონ მახარაძის რაიონის სკოლებში, ვ. თალაკვაძე ალბათ არავის დაუთმობს პირველობას. რაღა გასაკვირია, რომ სკოლამიც ასე უყვართ ფიზკულტურა და სპორტი.

ა. გურასაშვილი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

სურათზე: ნასაკირალის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები ფიზკულტურის გაკვეთილზე.

ავტორის ფოტო.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი




# რა ახლოს იყო მიზანი!

ტალინი, 27 დეკემბერი. მეორე შეხვედრა „კალევმა" მინიმალური უპირატესობით მოუგო თბილისის „დინამოს" — 87:86 (78:78, 41:36).

ამ მატჩში მასპინძლებს აშკარად სწყალობდათ ბედი, ისინი ორჯერ გადაურჩნენ მარცხს: ერთხელ — ძირითადი დროის მიწურულში, როცა ჯგერენაიას ზუსტი სროლა არ ჩათვალეს მსაჯებმა, დინამოელს კი ჯარიმა მისცეს, მეორედ — დამატებით 5 წუთის ბოლოს.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ თბილისის „დინამომ" მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა პირველი ტაიმის მიწურულსა და მეორის დასაწყისში. 5-5 პერსონალური შეცდომის გამო თამაშს გამოეთიშნენ მ. ქორქია, საკანდელიძე და ჩიხლაძე. ერთხანს პულავსკი, ქარაბაკი და ძიძიგური 4-4 ჯარიმით თამაშობდნენ, მაგრამ მალე მათაც მოუხდათ ბრძოლის შეწყვეტა.

დამატებით დროში კი „დინამოს" მოედანზე ოთხი კალათბურთელი შემორჩა, მაგრამ ამ კვარტეტმაც (ჩხიკვაძე, ბიჭიაშვილი, ჯგერენაია, ი. ნარიმანიძე) არაფერი დაუთმო გამოცდილი მეტოქეებით დაკომპლექტებულ ხუთეულს (ლიპსო, ტამისტე, ფილატოვი, ტომსონი, ლენციოსი).

„დინამო" დამარცხდა, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ამ დამარცხებამ გული არ გაგვიტეხა. თბილისელებმა იბრძოლეს ვაჟკაცურად, ღირსეულად და დაამტკიცეს, რომ ალმაპლობის გზაზე არიან, რომ მათთვის უკვე სულ ერთია საკუთარი და მეტოქის მოედანი. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ამ უმძიმეს ბრძოლასა და ლენინგრადის „სპარტაკთან" პასუხსაგებ მატჩებს შორის თბილისელებს ერთი დღე აქვთ თავისუფალი და ისიც მგზავრობას უნდა მოანდომონ.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 18 | 16 | 2 | 1523—1263 | 16 |
| ცსკა | 16 | 12 | 4 | 1465—1301 | 12 |
| „დ." (თბ.) | 14 | 12 | 2 | 1241—1151 | 12 |
| „დინ." (მ.) | 14 | 10 | 4 | 1198—1062 | 10 |
| „ალგირ." | 14 | 8 | 6 | 1161—1155 | 8 |
| „კალევი" | 14 | 6 | 8 | 1129—1121 | 6 |
| „სტროიტ." | 14 | 4 | 10 | 1132—1199 | 4 |
| რტი | 16 | 3 | 13 | 1253—1422 | 3 |
| „სტატიბა" | 14 | 2 | 12 | 1073—1259 | 2 |
| „ურალ." | 14 | 1 | 13 | 1110—1352 | 1 |

# ...ნახევარი კიდევ გასავლელია

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ უკვე თამამად შეიძლება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ტტტ შარშან დაკარგული ტიტულის დაბრუნებას აპირებს. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ლატვიელებმა თერთმეტივე შეხვედრა მოიგეს, არამედ ისიც, რომ ლიდერმა საგრძნობლად გააუმჯობესა თამაშის ხარისხი და ყოველ მატჩს დამაჯერებლად ატარებს. ამაში გარკვეული როლი ითამაშა უ. სემიონოვას გამოჯანმრთელებამ. ს. ც. ტტტ-ს ლიდერი და ცენტრალური თავდამსხმელი ახლა მთელი ძალითა და დატვირთვით თამაშობს.

შარშანდელმა ჩემპიონმა, ლენინგრადის „სპარტაკმა" უკვე მოასწრო ორი მატჩის წაგება. პირველად იგი მოსკოვის ოლქის თანაკლუბელებმა დაამარცხეს ამ ერთი თვის წინათ (75.62), მეორედ — ტტტ-მ (63:47). ნევისპირელებს, როგორც ჩანს, გაუჭირდებათ შარშანდელი წარმატების გამეორება, თუმცა ჯერ კიდევ წინ არის ჩემპიონატის ნახევარი.

მოსკოვის ოლქის „სპარტაკი" ლიდერს 3 ქულით ჩამორჩება. იგი საპრიზო ადგილის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტია. სხვათა შორის, ოლქის კალათბურთელებს ამ ჩემპიონატის რეკორდი ეკუთვნით: დნეპროპეტროვსკის „სტალი" დაამარცხეს ასტრონომიული, ქალთა კალათბურთისთვის გაუგონარი ანგარიშით — 115:50.

წარმატებით თამაშობს ვილნიუსის „კიბირკშტისი", გუნდი, რომელიც შარშან რის ვაი-ვაგლახით გადაურჩა ბოლო ადგილს. ახლა იგი ერთ-ერთი საპრიზო ადგილის პრეტენდენტია.

ჩემპიონატის მთავარი მოულოდნელობაა კიევის „დინამოს" სუსტი თამაში. უკრაინელი კალათბურთელები 4 ქულით სატურნირო ცხრილში IX ადგილზე არიან. საგულისხმოა, რომ კიეველებზე უკეთ ატარებენ შეხვედრებს ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელები.

გთავაზობთ გუნდების სატურნირო მდგომარეობას I წრის შემდეგ:

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ტტტ | 11 | 11 | 0 | 852—603 | 11 |
| „სპარტ." (ლდ.) | 11 | 9 | 2 | 811—680 | 9 |
| „სპარტაკი" (მ. ოლქი) | 11 | 8 | 3 | 831—711 | 8 |
| „კიბირკშ." | 11 | 8 | 3 | 747—713 | 8 |
| „დინ." (მ.) | 11 | 6 | 5 | 765—704 | 6 |
| „უნივერსიტ." | 11 | 6 | 5 | 753—759 | 6 |
| „ურალმაში" | 11 | 6 | 5 | 725—668 | 6 |
| ფისკ | 11 | 5 | 6 | 632—695 | 5 |
| „დინ." (კ.) | 11 | 4 | 7 | 724—780 | 4 |
| „სტროიტელი" | 11 | 2 | 9 | 618—777 | 2 |
| „ბურევესტ." | 11 | 1 | 10 | 632—755 | 1 |
| „სტალი" | 11 | 0 | 11 | 656—901 | 0 |

# ორივე ახალგაზრდები ვიყავით

## ფიზ-ჩვეულებანი

ახალგაზრდობა მუდამ ახალგაზრდობად რჩება. არა იმ შიმშილობის თვეებში ალბათ, არამედ ცოტა უფრო გვიან, ჩვენ თანდათან დავინტერესდით სპორტული ამბებით, რასაც გაზეთებით, ჟურნალებით, ზეპირი ცნობებით ვეცნობოდით. ყველას ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონის, ფრანგი მოკრივის კარპანტიეს სახელი ეკერა პირზე. ვიღაცამ გაიგო ნგარიშა, რომ მისი დარტყმის ძალა 20 ფუთს უდრიდა. სურათი ვიშოვეთ. გაოცებული ვიყავით, ვიპრავდით, ვერასგზით ვერ დაგვეკავშირებინა ერთმანეთთან მუშტი და 20 ფუთი. დაახლოებით იმ პერიოდში გამოჩნდა ვასალიჯი სკანდინავიის ქვეყნებში საბჭოთა ფეხბურთელთა გასტროლების ცნობები. რატომღაც ღრმად ჩაგვრჩა მეხსიერებაში რსფსრ-ს ნაკრების გარეკარის გრიგორიევის გვარი. იქნებ მის შესახებ უფრო მეტს წერდნენ? ბევრი ლაპარაკი იყო თბილისელი ჰავბეკის ხრომოვის ირგვლივ. მაგრამ ჩვენი ინფორმაციის ჰორიზონტზე თანდათან ყველა დაჩრდილა ფეხბურთელ ანდრო ჟორდანიას სახელმა.

მახსოვს, ქალაქის სამკითხველოში „კრასნი ვოინის" ნომრებში (ის უფრო ხშირად ბეჭდავდა სპორტის ახალ ამბებს) მოკლე საფეხბურთო ანგარიშებს ვეძებდით. ჟორდანიას გვარი მაშინაც გვხვდებოდა და, თუ გატანილ გოლთან იყო დაკავშირებული, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველა სტრიქონი ერთი ასჯერ უნდა გადაგვეკითხა... იყო ერთი გამოცანები, დაიწყებოდა მორიგი კამათი: ღირსია თუ არა ჟორდანია ინგლისის ნაკრებში თამაშისა, ესე იგი ჩვენს წარმოდგენაში, რაღაც ღმერთებთან გათანაბრებისა. სკეპტიკოსები, სხვათა შორის, მათდა სასიხარულოდ, ვინაიდან იმისთვის უფრო კამათობდნენ, რომ ვინმეს საწინააღმდეგო აზრის სისწორეში დაერწმუნებინა, ყოველთვის დამარცხებული რჩებოდნენ. ყველა ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ანდრო თამამად ითამაშებდა ინგლისის ნაკრებში და ამ გუნდში პირველი ფეხბურთელიც იქნებოდა.

ნუ განგვსჯით ძალიან მკაცრად. ჩვენ უსაზღვროდ გვიყვარდა ფეხბურთი. საკუთარ წვენში ვიხარშებოდით. ძალიან ბუნდოვნად წარმოგვედგინა ჟორდანია. კიდევ უფრო ბუნდოვნად — კარგი ფეხბურთი. მაგრამ ერთიც და მეორეც ხატად მიგვაჩნდა, დაუსწრებლად გვიყვარდა. სპორტის ტრფიალს კი სხვაგვარად მოქცევა არ ძალუძს. იგი ვერ იცოცხლებს, თუ კერპი არ ეყოლა. და, თუ ახლომახლო შესაფერი ვერაფერი იპოვა, თვითონ შექმნის ხატს თავისი ფანტაზიით.

ჩვენი „სპორტული დიალოგის" ადგილი იყო სპორტული კლუბი (სადაც ამ საუბრის დროს, სხვათა შორის, ჭადრაკის თამაშითაც ვერთობოდით), ზაფხულში კი — რიონის „პლაჟები".

საერთოდ, რიონმა არაჩვეულებრივი როლი ითამაშა ქუთაისელი ბიჭების მრავალი თაობის ფიზიკურ განვითარებაში. ეს გაგრძელდა თითქმის ოცდაათიან წლებამდე, როცა ქუთაისის ზემოთ წყალი რიონჰესის არხში გადაგდეს და მდინარის მკვდარი, გაშიშვლებული ქვიანი კალაპოტით დასახიჩრებული ქალაქი ფაქტიურად ურიონოდ დარჩა. რა დასანანია! როგორ ალოცხლებდა ქალაქს ეს მდინარე, რა ლამაზი იყო, რა გამამხნევებლად ხმაურობდა, რა სიგრილე მოჰქონდა ცხელ ზაფხულის საღამოებში, როცა ქუთათურები თეთრ ხიდზე სასეირნოდ გამოეფინებოდნენ ხოლმე... დასასრულ, რამდენად დიდ როლს ასრულებდა ჰიგიენის თვალსაზრისით... დიახ, დააკლდა, ძალიან დააკლდა ქუთაისს რიონი... და მე არ ვმალავ იმედს, მჯერა, რომ ადრე თუ გვიან ქალაქი ისევ შეხვდება მშობლიურ წიაღს დაბრუნებულ მდინარეს.

ზაფხულობით ბიჭები რიონზე ვიყავით „გადაკარგული". მდინარე მობანავეებით იყო სავსე. განსაკუთრებით უყვარდათ „რიყე" — ქვიანი ნაპირი გიმნაზიის ეზოს გასწვრივ, „პლაჟები" ბალახვნის ქუჩიდან, ყველაზე სილიანი.

ნაპირზე ბიჭები მზეზე ირუჯებოდნენ, ჭიდაობდნენ, სირბილში, ხტომაში, მძიმე ქვების აწევაში, კენჭების შორს სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ყირას ჭიმავდნენ. რით არ ერთობოდნენ. დროდადრო კი ცივ წყალში ჭყუმპალაობდნენ.

ცურვა ყველაზე მეტად ჩქერების მიმართულებით უყვარდათ, სადაც კლდოვანი ფსკერის გამო წარმოქმნილ ტალღებზე თამაშობდნენ — აჰყვებოდნენ და დაჰყვებოდნენ. ერთ რამედ ღირდა! მერე რომელიმე უშიშარი თეთრი ხიდიდან, აივნიდან ან კომკავშირული კლუბის სახურავიდან წყალში ხტომით თავის გამოჩენას მოინდომებდა და ხალხიც მყისვე შეიყრებოდა მიმზიდველი სანახაობის საყურებლად. მართლაც, განა საინტერესო სანახავი არ არის, როგორ კატებივით მიცოცავენ მზემოკიდებული, ტანადი ბიჭები იმ სიმაღლეზე? მერე კი ყველა სუნთქვაშეკრული ვუყურებდით, როგორ ემზადებოდნენ ისინი გადმოსახტომად, როგორ ხტებოდნენ, როგორ ჩაუქროლებდნენ ხიდზე მდგარ ხალხს და ვხედავდით, როგორ ეშვებოდნენ წყალში...

რიონი მამაც, მოქნილ, ძლიერ ჭაბუკებს ზრდიდა. იგი ფიზიკური აღზრდის ბუნებრივი აკადემია იყო ქუთაისელი ბიჭებისთვის. და რათა ბოლომდე გაგაცნოთ მდინარის, ასე ვთქვათ, სპორტული ფუნქციები, უნდა დავუმატოთ, რომ რიონის ნაპირები იყო ბუნებრივი „რინგი" ადგილობრივი „მოკრივეებისთვის", რომელთა ასაკიც ყოველთვის როდი შეესაბამებოდა უმცროსს ან საშუალოს.

აქ ბევრი მოდიოდა მკლავის ძალის მოსასინჯად, მაგრამ მათგან მხოლოდ ზოგიერთს, მხოლოდ ხელით ბრძოლის ჭეშმარიტ არტისტებს თუ მოუპოვებიათ აღიარება ქალაქში და საპატიო სახელი — „დამრტყმელი", რომელიც ძალიან კარგად გამოხატავდა მათი სპეციფიკური ნიჭის ნამდვილ არსს.

### კრივი და ქართული სილა

ჩხუბი რა გასაკვირია — ყოველგვარი, თუნდაც საღამოს სეირნობის დროს რომ ხდება ბულვარის ხეივნებში და მყისვე მოითხოვს ურთიერთობის გარკვევას, თუნდაც იქ ატეხილი და „რიყეზე" — სახელგანთქმული მოჩხუბრების საყვარელ ადგილზე გაგრძელებული, თუნდაც „ოფიციალურად" დანიშნული გარკვეულ დღეს, გარკვეულ საათზე, „სეკუნდანტებითა" და მაყურებლების თანდასწრებით გამართული. მიუხედავად ამისა, მაშინდელი „დამრტყმელი" არ შეიძლება დღევანდელ ხულიგანში აგვერიოს.

მართალია, „დამრტყმელებიც" ხშირად არღვევდნენ სიმშვიდეს და წესრიგს, თვით ჩხუბის მიზეზიც არ იყო ყოველთვის მაინცდამაინც საპატიო, მაგრამ, რაოდენ შორს იყო ის ყველაფერი დღევანდელი ხულიგნობისგან — როცა ცდილობენ პატიოსანი ადამიანი დამცირონ შეურაცხყოფით, უხეშობით, როცა მთვრალების მთელი ხროვა თავს ესხმის ერთს, თანაც უფრო სუსტს. არა, თუმცა „დამრტყმელები" ფიცხი ხალხი იყვნენ და რა დასამალია, ჩხუბი უყვარდათ, მაგრამ ბრძოლაში მკაცრად იცავდნენ თავიანთს დაუწერელ ღირსების კანონებს. ჩხუბობდნენ უმეტესად თავის გამოჩენისთვის — ვინ აჯობებსო! ან არა და მათი ჩხუბის მიზეზი რომანიული იყო. ორი და სამი ერთ კაცს თავს არ ესხმოდა. ეს სამარცხვინო იყო. პირიქით, ყველაზე მეტად ის ფასობდა, როცა ერთი რამდენიმეს გაუმკლავდებოდა. ასეთ კაცზე ლეგენდებს თხზავდნენ.

„დამრტყმელები" მუშტითაც კი არ ჩხუბობდნენ, მარტო გაშლილ ხელისგულს — სილას ურტყამდნენ. დამეთანხმებით, დიდი მოქნილობა და ოსტატობაა საჭირო, რომ მარტო სილებით გაუმკლავდე ერთ კაცსაც კი, არათუ რამდენიმეს. ასეთი ბრძოლის ყურება ერთ რამედ ღირდა. აქ მეფობდა არა იმდენად ძალა, რამდენადაც კატის მოქნილობა. რა გასაკვირია, რომ ერთ-ერთ „დამრტყმელზე" (სანდრო უკლებაზე) ამბობდნენ, თითქოს რიყეზე პატიოსან ბრძოლაში თვით კოლია ქვარიანი (სახელგანთქმული მოჭიდავე იყო) დაამარცხაო. საერთოდ, სანდრო უკლება გუგუ ჩიქოვანთან და სანდრო მხეიძესთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „დამრტყმელი" იყო ქუთაისში.

ამასთან დაკავშირებით მინდა გრამზოთ ერთი ნახევრად კომიკური ისტორია, რომელიც მთელ ქუთაისს პირზე ეკერა.

იმ ხანად ქალაქში ფიზკულტურის ხელმძღვანელად მუშაობდა ვინმე ბოროვსკი — ახალგაზრდა, ამხანაგური კაცი. იგი მოსკოვიდან იყო და, რაც მთავარია, მოკრივის შარავანდედით მოსილი გახლდათ. თვითონ ჰყვებოდა რუსეთის პირველობაზე ფინალური ბრძოლა მქონდა ნიკიტინთანო. პირველობის ფინალისტობა კი უკვე რაღაცას ნიშნავდა. ბოროვსკის თავდავიწყებით უყვარდა კრივი. იგი სისტემატურად ვარჯიშობდა და სპორტულ რეჟიმს იცავდა, გულმოდგინედ ნერგავდა იმ სახეობას კლუბში და, ვინაიდან მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქალაქის ახალგაზრდობასთან, თავისი ენთუზიაზმით ბიყოლია დიდი ჯგუფი, შექმნა მოკრივეთა წრე, მიაღწია იმას, რომ ბულვარის პირდაპირ სპორტულ დარბაზში დრო დაუთმეს და რეგულარულად დაიწყო ვარჯიში ამ ჯგუფთან. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ყველაფერი კეთდებოდა მხოლოდ მისი ენთუზიაზმის ხარჯზე. სხვა, გასამრჯელოც რომ მიგეცათ, მაინც იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებდა, რასაც უანგარო შრომით, საქმის ცოდნითა და გატაცებით აღწევდა ბოროვსკი, კრივის ეს ჭეშმარიტი რაინდი.

ბოროვსკი ძალიან დაინტერესდა ჩვენი „დამრტყმელებით", ესწრებოდა მათს „ბრძოლებს", სამართლიანად დააფასა ხალხური „კრივის" სპორტული ბუნება, აღფრთოვანებული დარჩა მოჩხუბრების ოსტატობით და... ხელთათმანი გადაუგდო მათ: ოფიციალურად გამოიწვია სანდრო უკლება საჯაროდ შესახვედრად. ბოროვსკის პირობების თანახმად, ორივე მეტოქეს თავისი ბრძოლის წესები უნდა გამოეყენებინა. მაშ ასე, — ქართული „სილა" ინგლისური კრივის წინააღმდეგ.

ბოროვსკი, რომელიც მშვენივრად ხედავდა ასეთი გამოწვევის სასაცილო მხარეებს, თავს კრივის პროპაგანდის საჭიროებით იმართლებდა, მაგრამ, თუ სიმართლე გინდათ, თვითონ ისიც, ახალგაზრდა კაცი, მაინცდამაინც არ განსხვავდებოდა ქუთაისელი მოჩხუბრებისგან. ისიც კარგი მამლაყინწა იყო. ერთი სიტყვით, ქუთაისში მთელი კვირა სხვა აღარაფერი ჰქონდათ სალაპარაკო.

იყო ერთი ბჭობა და მკითხაობა. და, მიუხედავად დიდი პატივისცემისა „კლასიკისადმი", წარმატებას მაინც მშობლიურ „სილას" უსურვებდნენ. მაგრამ ბრძოლა არ შედგა. სანდრომ გამოწვევა არ მიიღო. მის ვაჟკაცობაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა. შეხვედრაზე უარი იმიტომ არ უთქვამს, რომ წაგებისა შეეშინდა. როგორც ჩანს, სანდროს უფრო საპატიო მიზეზი ჰქონდა, ვინაიდან მშვენივრად ესმოდა, რომ მის დამარცხებას შეიძლებოდა „სილის" რომანტიკული ავტორიტეტი შეელახა.

რა ექნა ბოროვსკის, რომელსაც გულით სწადდა სარბიელზე გამოსვლა? მან გადაწყვიტა საჩვენებელი ბრძოლა მოეწყო ერთ-ერთ სპორტსმენთან.

...შეხვედრა გვიან საღამოს მოეწყო საზაფხულო ბაღის სცენაზე. ჩემი ბიუჯეტი ამ ბრძოლაზე დასწრების საშუალებას არ იძლეოდა. ისღა დამრჩენოდა, ქუჩაში ხეზე ავმძვრალიყავი და იქიდან მეყურებინა. სხვათა შორის, მარტო მე არ მოვქცეულვარ ასე. სარბიელი მშვენივრად ჩანდა. ვიჯექი ხის ტოტზე და ვტკბებოდი. ჩემს წინ იყო ნამდვილი კრივი, ნამდვილი მსაჯით, რომელიც ამბობდა, „ბრეკ", „სეკუნდანტებო", „აუტ", ნამდვილი სეკუნდანტებით (მათ შორის ერთი ჩემი ლეიძლი ძმა იყო), რომლებიც ხანმოკლე შესვენების დროს მოკრივეებს პირსახოცებით უნიავებდნენ. მაგრამ ყველაზე მეტად მიმზიდველი თვითონ ბრძოლა იყო. ბოროვსკიმ იცოდა კრივი და მით უფრო ეფექტურად გამოსდიოდა ბრძოლა, რომ მეტოქე მასზე აშკარად სუსტი იყო. და, როცა საქმე ნოკაუტით დამთავრდა, მე აღტაცებით გავიფიქრე: „ვინ კარპანტიე, რა კარპანტიე? ჩვენა ვართ, რაცა ვართ". თქვენ წარმოიდგინეთ, ამას სერიოზულად ვფიქრობდით.

ახლა, განვლილ გზას რომ გადავხედავ, ნათელი ხდება, რომ ქუთაისში სპორტის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი არა მარტო ბოროვსკიმ, არამედ ყველა ჩამოსულმა სპორტსმენმა. განსაკუთრებით ეს მძლეოსნობასა და ფეხბურთზე ითქმის. საერთოდ, მძლეოსნობა პირველად მათ გაგვაცნეს. მართალია, მაშინდელი მძლეოსნობა ტექნიკური შედეგებითა და სპორტსმენთა ოსტატობით ბევრად შორს იდგა დღევანდელისგან, მაგრამ მაინც მძლეოსნობა იყო. ჩვენთვის ცნობილი გახდა რბენის, ხტომის, ტყორცნის ყველა სახეობა. ჩვენ შეგვეძლო გვენახა მძლეოსანთა მეცადინეობები და შეჯიბრებები. სახტად დავრჩით, როცა ერთ-ერთი სპორტსმენი ჭოკით 2,5 მეტრს გადაევლო. ერთი სიტყვით, ისინი კარგ მაგალითს გვაძლევდნენ.

განსაკუთრებით ... ფეხბურთელებს. ქუთაისში მაშინ ... ის სამოყვარულო გუნდი ... ფეხბურთით გატაცებული მოზარდი კი უამრავი იყო. ჩამოსული ფეხბურთელებთან კავშირი თავდაპირველად იმაში გამოიხატებოდა, რომ მათს საწვრთნელ მეცადინეობებზე დავდიოდით და ბურთებს ვაწოდებდით. მერე ორ კარში თამაშის დროს ჩვენც გვაყენებდნენ, როცა თავისი მოთამაშეები არ ჰყოფნიდათ. უფრო გვიან დაიწყო ჩვენი გუნდების შეხვედრა მათთან. შეხვედრები, ჩვეულებრივ, კვირა დღეს ეწყობოდა.

მოთხოვნილება იზრდებოდა. სპორტული ცხოვრება თანდათან მრავალფეროვანი ხდებოდა. ახლა უკვე ყველა ტანმოვარჯიშის სახელზე როდი ოცნებობდა, ყველას როდი მოსწონდა „შევარდენი" და მისეული ტანვარჯიშის კულტი. ამგვარად, ახალი დროის პირობებში „შევარდენის" პოზიციებმა სწრაფად დაიწყო მსხვრევა, ვინაიდან იგი ფორმითაც და მუშაობის შინაარსითაც სულ უფრო ნაკლებად უპასუხებდა ახალგაზრდობის მოთხოვნებს.

ვ. მდივანი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 256, 257.

# მხოლოდ სამი გუნდი

საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის IV სპარტაკიადამდე დიდი დრო აღარ დარჩა. სპორტსაზოგადოებები ამ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ბაკურიანში თავიანთს შეჯიბრებებს ატარებენ, რის შემდეგაც უძლიერესი მოთხილამურეებით გუნდებს დააკომპლექტებენ.

დამთავრდა „ბურევესტნიკის" პირველობა. ასპარეზობის შესახებ დებულება რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელს დროულად გაეგზავნა, ბაკურიანში კი მხოლოდ სამი კოლექტივი ჩამოვიდა.

სრული გუნდი მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტმა გამოიყვანა.

შეჯიბრება უინტერესოდ ჩატარდა და შედეგებიც დაბალი იყო. სტუდენტები გამარჯვებისთვის მხოლოდ რბენაში იბრძოდნენ. პირველ დღეს ქალები 5 კილომეტრზე დარბოდნენ, ვაჟები — 15 კილომეტრზე, მეორე დღეს ვაჟებსაც და ქალებსაც ათკილომეტრიანი დისტანცია ჰქონდათ გასარბენი.

15 კილომეტრზე რბენა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა მოიგეს. ფინიშთან პირველი მივიდა ლ. სოლოიანი — 1:03,13. ა. მოროზოვი მას 32 წამით ჩამორჩა. ა. კალმიკოვის შედეგია 1:05,25. ქალთა შორისაც სამივე საპრიზო ადგილი ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრებმა ა. შევჩენკომ (31.42), ლ. ჯანაშვილმა (31.43) და თ. მათიაშვილმა (35.30) დაისაკუთრეს.

მეორე დღეს სპორტსმენებს რბენა ახალ თოვლზე მოუხდათ. ამან შედეგები უფრო გააუარესა. ვაჟთა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. კალმიკოვი — 46.48, 2. ვ. კარევი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 49.01, 3. ბ. კომახიძე (ქუთაისი) — 58 წუთი.

ქალთა შეჯიბრებაში ამ დისტანციაზე შევჩენკომ 1:21,28 აჩვენა, მათიაშვილმა — 1:24,46. ლ. ხეცურიანი (უნივერსიტეტი) III ადგილზე დარჩა — 1:25,12.

ასეთი დაბალი შედეგები იმან გამოიწვია, რომ სპორტსმენების უმეტესობა ასპარეზობაში მოუმზადებლად ჩავება.

საერთო გუნდური პირველობა ფიზკულტურის ინსტიტუტმა მოიპოვა. II ადგილი დაიკავა ქუთაისის კოლექტივმა, III — უნივერსიტეტის ნაკრებმა.

ხ. ლამარია.

### რაიონებში [illegible]

**ხაშური**

საინტერესოდ ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში 9 გუნდის მონაწილეობით.

I ადგილზე გავიდნენ სურამელი ფეხბურთელები. II ადგილზეა სოფ. სატივის კოლმეურნეობის გუნდი.

ა. დარსაველიძე.



თბილისის 51-ე საშუალო სკოლაში ახალი სპორტული დარბაზი აშენდა. სურათზე: ფიზაღზრდის მასწავლებელი რ. მაჭავარიანი ამეცადინებს VIII კლასის მოსწავლეებს. ძელზეა მოსწავლე ზ. რუხაძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# სემინარი ბაკურიანში

„ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბების წარმომადგენლებისთვის ბაკურიანში ჩაატარა სემინარი, რომლის თემა იყო მშდ კომპლექსზე მუშაობა და სპორტსმენთა იდეური აღზრდა.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ასათიანმა. მოხსენებებით გამოვიდნენ „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თანამშრომლები ჯ. გველესიანი და თ. ცაგურიშვილი, საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის თანამშრომელი ნ. მესხი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ციბაძე და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ფირანიშვილი.

ლ. ხეცურიანი.

დრო მიდის, თანამედროვე ალპინიზმი ახალ დონეზე დგება და არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ ამ პროგრესს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ახალი ამოცანები უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს მთამსვლელებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს.

მთამსვლელისთვის მთავარი უსაფრთხოებაა. მთამსვლელობა სტიქიასთან ბრძოლაა, რის გამოც მუდამ არსებობს ხიფათისა და რისკის ფაქტორი. მთამსვლელის მორალური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება განსაზღვრავს არა მარტო მის სპორტულ წარმატებებს, არამედ უსაფრთხოებასაც იმ რთულ სიტუაციებში, რომლებიც უამინდობის, ზვავის, ქვათაცვენის ან სტიქიის სხვა ჭირვეულობასთან დაკავშირებით იქმნება მთაში. მთაში მოძრაობის ტექნიკა და ტაქტიკა ათეული წლების მანძილზე გამომუშავებულ ჩვევებსა და გამოცდილებას ითვალისწინებს. ყველაფერი ეს თავმოყრილია ეგრეთ წოდებულ სახელმძღვანელო მასალებში. ეს მასალები მკაცრად განსაზღვრავენ მთამსვლელის მომზადების საფეხურებს, სწავლების თანმიმდევრობას, ნებისმიერი სირთულის მწვერვალის დასაპყრობად საჭირო ცოდნის მინიმუმს. სახელმძღვანელო მასალები ითვალისწინებს, რომ, თუ მთამსვლელმა მიიღო განსაზღვრული სირთულის მწვერვალზე ასვლის უფლება, ესე იგი მას უნარი შესწევს ურისკოდ იმოქმედოს ამ მწვერვალზე ნებისმიერი მოულოდნელობის მიუხედავად და უვნებლად დაეშვას საშვიდობოს ან, როგორც მთამსვლელები ამბობენ, მწვანეზე.

როდესაც გამოცდილი მთამსვლელი ეცნობა ბოლო წლებში ჩვენში მომხდარ უბედურ შემთხვევებს, არ შეიძლება არ გამოიტანოს დასკვნა, რომ ამ შემთხვევათა გარკვეული ნაწილი ალპინისტთა ჯგუფების მორალური, ტექნიკური და ტაქტიკური მოუმზადებლობის შედეგია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ყაზბეგის რაიონში ხდის ხეობის მწვერვალებზე მომხდარი ავარიები. იქ მთამსვლელთა ჯგუფები რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მოხვდნენ, რამაც მკვეთრად შეცვალა და გაართულა მოძრაობის პირობები. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ მარშრუტების ტექნიკურ სირთულესა და მთამსვლელთა კვალიფიკაციას, არც ერთი ეს ასვლა არ უნდა დამთავრებულიყო ისე სავალალოდ, როგორც სინამდვილეში მოხდა. ასვლების მონაწილე ჯგუფების წევრები, მათი წიგნაკების (ამ წიგნაკებში მოცემულია სრული ცნობები მთამსვლელის კვალიფიკაციის, მისი მორალურ-ტექნიკური მომზადების და მოწყობილი ასვლების შესახებ) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი სავსებით მზად იყვნენ შესაბამისი მწვერვალების დასაპყრობად. მაგრამ მათი მოქმედება ავარიულ მდგომარეობაში სულ საწინააღმდეგოს მეტყველებს. ეს მხოლოდ ერთს ნიშნავს: ჯგუფების მომზადების ფაქტიური დონე არ შეესაბამებოდა ფორმალურს.

ზემოთქმული თავისთავად ღაღადებს იმაზე, რომ ამ მთამსვლელების მომზადებაში სადღაც სავალალო შეცდომა იყო დაშვებული. მათ არ ასწავლეს მთისადმი სერიოზული მიდგომა, არ იცოდნენ, რომ მწვერვალისკენ მიმავალი უმარტივესი გზაც კი ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში შეიძლება ვერაგი და შეუბრალებელი გახდეს. ასეთია მთა და სწორედ ასეთ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში იწრთობა ნამდვილი მთამსვლელი. მთაში მეფობს პრინციპი — ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის. როცა ეს პრინციპი ირღვევა, ჯგუფი ბუნების წინაშე უსუსური ხდება.

ზემოთ მოყვანილი სამწუხარო ფაქტები პირდაპირ მიგვითითებს, თუ სად უნდა ვეძებოთ უბედური შემთხვევების მიზეზები.

საქართველოში ახალბედა მთამსვლელი პირველ ნაბიჯებს მთაში, როგორც წესი, ალპინიადის დროს დგამს. ალპინიადას ჩვენში დიდი ტრადიციები აქვს და შეიძლება ითქვას იგი ძალიან კარგი ფორმაა ახალგაზრდების მთაში მიზიდვისა. მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ სწორედ ალპინიადამ უნდა უჩვენოს ახალბედას არა მარტო ციცაბო მშვენიერება, არამედ სირთულეც ამ სახეობისა. ახალბედამ აქ უნდა მიიღოს მთაში მოძრაობის ჩვევათა სავალდებულო მინიმუმი, რათა მწვერვალებს შეუტიოს.

სინამდვილეში კი როგორ არის საქმე?

თითქმის არც ერთი ჩვენი ალპინიადის დროს ფაქტიურად არ ტარდება სავალდებულო წინასაბანაკო ლექციები, მეცადინეობებზე რომ არაფერი ვთქვათ. მთაში გასვლისას ალპინიადის მონაწილეებს პირველი დღეებიდანვე არ ვთხოვთ წესრიგს, და აქ მიღებული უარყოფითი ჩვევები მათ ალპინისტურ ბანაკშიც მიჰყვებათ. მთაშიც ხშირად მეცადინეობები ზერელე და არასრულია. არ ტარდება სათანადო მოცულობით მეცადინეობა მეკლდეურობაში, თოკების ხმარებაში, საერთოდ არ ეწყობა მეცადინეობა თოვლზე, ყინულზე. უფრო მეტიც, ზოგჯერ ალპინიადის მონაწილეებს არა აქვთ წყრაყინები (!), თვალითაც არ უნახავთ წრიაპები, ჩაქუჩები, პალოები და ა. შ. ატმოსფერო ალპინიადების დროს ხშირად არაამხანაგურია, არამთასვლურია. ალპინიადების მონაწილენი დროსტარებასა და სმასაც არ ერიდებიან. სმის მაგალითს, სამწუხაროდ ზოგიერთი ინსტრუქტორიც იძლევა. ამიტომაც არის, რომ ახალბედების მნიშვნელოვანი ნაწილი მთამსვლელობას უყურებს, როგორც გართობისა და დროსტარების საშუალებას.

ალპინიადიდან დაბრუნებულ ახალბედას უკვე დაპყრობილი აქვს თავისი პირველი მწვერვალი და ნიშნოსანია. თუ კიდევ მოინდომებს მთაში წასვლას, მან მზადება მთასვლურ ბანაკში უნდა განაგრძოს. დღეისთვის საქართველოში ამგვარი ბანაკი „აილამაა". იგი „განთიადს" ეკუთვნის და ლენტეხის რაიონში, მწვერვალ აილამას მისადგომებთან მდებარეობს. ალპინისტური ბანაკების მუშაობის სტილი, ტრადიციები წლების განმავლობაში ყალიბდება. ამ მხრივ უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული „აილამაში". ბანაკი სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება. მალე გაიხსნება მისი ფილიალი ულამაზეს და მთასვლური თვალსაზრისით მეტად საინტერესო ზესხოს ხეობაში. განზრახულია ასეთივე ფილიალების შექმნა კავკასიონის ურთულესი და უმაღლესი მწვერვალების ახლოს. შეიძლება ითქვას, რომ, როცა ეს პროექტები სინამდვილედ იქცევა, ბანაკს ექნება შესანიშნავი ბაზა ნებისმიერი კვალიფიკაციის მთამსვლელთა მოსამზადებლად.

ამასთან ერთად არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ იმ ნაკლზე, რაც ჯერ კიდევ არსებობს ბანაკის სპორტულ მუშაობაში. დღეისთვის „აილამა" ძირითადად მიშნოსან და დაბალთანრიგოსან (მესამე და მეორე) თანრიგების სპორტსმენებს ამზადებს. ამიტომ, ცხადია, რომ კლასიფიცირებული გზები მწვერვალებზე, რომლებიც ბანაკიდან ილაშქრება, სირთულის მხრივ გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას, რომ კლასიფიცირებულ მარშრუტთა საკმაო ნაწილი ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მათი სირთულის კატეგორია აშკარად ხელოვნურად არის მომატებული (მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ორი მესამე კატეგორიის მარშრუტი ფასის მთაზე და ამავე სირთულის გზა მწვერვალ ფიტნარგინზე). ეს ყოველივე უარყოფითად მოქმედებს სასწავლო პროცესებზე, ხელოვნურად მიმატებული სირთულის კატეგორია ახალგაზრდა მთამსვლელს მცდარ წარმოდგენას უქმნის საერთოდ მწვერვალებზე. ამიტომ ბანაკისთვის ერთ-ერთი საჭიროებაა საკუთარი მარშრუტების სწორად კლასიფიცირება. ... აუცილებელია ... კარგი სავარჯიშო კლდეების მოძებნა, დღეისთვის გამოყენებული სავარჯიშო კლდეები თუმცა ახლოა ბანაკთან, მაგრამ მეტად მარტივია და მეცადინეობის მაღალ დონეზე ჩატარების საშუალებას არ იძლევა. ამ მხრივ არ უნდა მოვერიდოთ იმასაც, რომ შეიძლება ბანაკიდან კლდეებზე სავარჯიშოდ სიარულის დროს ღამის თევაც გახდეს საჭირო.

„აილამაში" სათანადო სიმაღლეზე არ დგას მთასვლური დოკუმენტაციის გაფორმება, სრულყოფილი არ არის მწვერვალთა აღწერილობითი მასალები, არ არის მთასვლური ლიტერატურის ბიბლიოთეკა, ბანაკს არ გააჩნია მეთოდური მასალები, თვალსაჩინო პლაკატები და სხვ. გარდა ამისა, დღემდე არ არის დამყარებული რადიოკავშირი კავკასიონის სხვა მთასვლურ ბანაკებთან. ყოველივე ამასთან ერთად, ბანაკი სისტემატურად განიცდის ინსტრუქტორთა ნაკლებობას. სამწუხაროდ, რესპუბლიკის უძლიერესი მთამსვლელები ნაკლებად ეტანებიან აქ მუშაობას და ახალგაზრდა ინსტრუქტორთა აღზრდის საქმე ერთგვარად თვითდინებაზეა მიშვებული. რამდენიმე წელია ვერ მოიძებნა ბანაკის სასწავლო ნაწილის უფროსი, რომელსაც სათანადო კვალიფიკაცია და მონდომება ექნება ბანაკში მუშაობისთვის. ყველაფერი ეს გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენს ბანაკის მუშაობაზე.

ახალგაზრდა მთამსვლელთა აღზრდაზე ლაპარაკის დროს მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ალპინიზმი სპორტის თავისებური სახეობაა. მაგალითად, მძლეოსნის ფაქტიური კვალიფიკაცია თუ არ შეესაბამება ფორმალურს, იგი შეჯიბრებაში ვერ უჩვენებს იმ შედეგს, რომელსაც მისგან მოელიან. მაგრამ თუ ასეთივე შემთხვევა ალპინიზმში მოხდა, მთამსვლელი საფრთხეში აგდებს როგორც საკუთარ, ისე მასთან თოკში ჩაბმული ამხანაგების სიცოცხლეს.

ასეთია მოკლედ ჩვენი მთამსვლელობის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი.

ლ. ლლონტი.

# საჭიროა უკეთესი მომზადება და მეტი სიფრთხილე



# თასი მაიამ მოიპოვა

ჭადრაკის სასახლის პრიზზე

გუშინ თბილისში დამთავრდა ჭადრაკის სასახლის თასის IV გათამაშება ვაჟთა შორის. გადამწყვეტ შეხვედრაში ტურნირის ერთადერთმა მონაწილე გოგონამ საერთაშორისო ოსტატმა მ. ჩიბურდანიძემ მოუგო ოსტატ თ. ლომაიას და თასიც მოიპოვა.

• • •

სურათზე: მაია ჩიბურდანიძე.

ჩვენი [illegible]

## მაგალითს იძლევა „ტექსტილშჩიკი"

ტაშკენტის სპორტკლუბმა „ტექსტილშჩიკმა" ყველას აჯობა უზბეკეთის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს შორის მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გამართულ სპარტაკიადაში. წარმატება კანონზომიერია — წლეულს საფეიქრო კომბინატის სტადიონზე, აუზში, სპორტულ დარბაზებში 920 ნიშნოსანი მომზადდა. ასე რომ, გუნდის დასაკომპლექტებლად შორს წასვლა არ დასჭირდებოდათ.

უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, სადაც რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში მშდ კომპლექსის დანერგვის საკითხი განიხილეს, მოიწონეს ტაშკენტის საფეიქრო კომბინატის მოწინავე გამოცდილება. აღინიშნა, რომ ამ კომბინატში ზრუნავენ სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისთვის, საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მომზადებისთვის, ფიზიკური კულტურის მასობრიობისთვის.

ე. ეფიმოვი.
(ხალხის კორ.).

ტაშკენტი.

## ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

### პორტუგალია

„პორტუმ" XIV ტურში მოუგო „ბოავისტას" — 2:1, ხოლო ლისაბონში „ბენფიკისა" და „სპორტინგის" შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტუ" | 14 | 28:10 | 24 |
| „ბენფიკა" | 14 | 28:6 | 22 |
| „ვიტორია" (გიმარაიში) | 13 | 35:16 | 20 |

### გფრ

ლიდერთა ხუთეული 17 ტურის შემდეგ ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰერტა" (დას. ბერ.) | 17 | 31:21 | 23 |
| „კიკერსი" (ოფენ.) | 16 | 37:27 | 22 |
| „ჰამბურგერ შპორტფერაინი" | 17 | 25:15 | 22 |
| „აინტრახტი" (ფრანკფურტი) | 16 | 45:20 | 20 |
| „აინტრახტი" (ბრაუნშ.) | 16 | 24:16 | 20 |

### ჰოლანდია

როტერდამის „ფეიენოორდმა" ველზენში მოუგო ადგილობრივ „ტელსტარს" და შეინარჩუნა ლიდერობა. ყოფილმა ლიდერმა — „ფშვ ეინდჰოვენმა" სტუმრად დაამარცხა „ამსტერდამი" — 2:1, „ჰააგამ" — „აიაქსი" — 1:0, ენსხედეს „ტვენტემ" კი საკუთარ მინდორზე აჯობა „როდას" — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფეიენოორდი" | 15 | 54:14 | 26 |
| „ფშვ ეინდჰოვენი" | 14 | 42:13 | 25 |
| „აიაქსი" | 14 | 32:13 | 20 |

### ბელგია

მოლენბეკის „რასინგ ვიტმა" საკუთარ მინდორზე დაამარცხა მონტანის „ოლიმპიკი" ანგარიშით 4:1 და ახლა 5 ქულით უსწრებს ჩემპიონს — ბრიუსელის „ანდერლეხტს", რომელმაც სტუმრად 1 ქულა დაკარგა „შარლერუასთან" — 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რასინგ ვიტი" | 18 | 46:16 | 29 |
| „ანდერლეხტი" | 18 | 33:12 | 24 |
| „ბეერსკოტი" | 18 | 32:16 | 24 |

### იტალია

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება:

| | | | |
|---|---|---|---|
| „იუვენტუსი" (ტურინი) | 11 | 20:6 | 18 |
| „ლაციო" (რომი) | 11 | 15:9 | 15 |
| „მილანი" | 11 | 10:4 | 14 |
| „ტორინო" | 11 | 13:7 | 13 |
| „ნაპოლი" | 11 | 15:10 | 13 |

### საბერძნეთი

სალონიკის პაოკ-მა შინ დიდი ანგარიშით მოუგო I ლიგის დებიუტანტს „კასტორიას" — 7:1. ტურის ცენტრალური შეხვედრა ათენში ადგილობრივ აეკ-სა და „პანათინაიკოსს" შორის დამთავრდა ფრედ — 0:0. პირეის „ოლიმპიაკოსმა" შინ ფრედ ითამაშა I ლიგის ახალბედასთან, ათენის „ატრომიკოსთან" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| აეკ-ი (ათენი) | 10 | 27:3 | 18 |
| „ოლიმპიაკოსი" | 10 | 23:8 | 17 |
| „ეთნიკოსი" (პირეი) | 10 | 19:5 | 17 |

### საფრანგეთი

ჩემპიონატის XXII ტური ერთობ უშედეგო გამოდგა — 8 შეხვედრაში სულ 11 გოლი გავიდა. ნიმში ადგილობრივმა „ოლიმპიკმა" ფრედ ითამაშა ჩემპიონთან და თასის მფლობელთან „სენტ-ეტიენთან" — 0:0, აჰასობაში „ბასტიამ" შინ მოუგო „ანჟერს" ანგარიშით 3:0 და დაისაკუთრა ლიდერობა. „მონაკომ" არგენტინელი ონისის ერთადერთი გოლის წყალობით 2 ქულა აიღო „სტრასბურგთან" მატჩში.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბასტია" | 22 | 32:18 | 31 |
| „სენტ-ეტიენი" | 22 | 29:25 | 30 |
| „ოლიმპიკი" (ნიმი) | 22 | 35:29 | 27 |

### თურქეთი

სტამბულის „ბეშიქთაშმა" შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა იზმირის „გიოზთეფე" — 7:1, სტამბულის „გალათასარაიმ" კი იზმირში სძლია ადგილობრივ „ალთაის" — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გალათასარაი" | 13 | 19:5 | 21 |
| „ფენერბახჩე" | 12 | 26:11 | 17 |
| „ბოლუსპორი" | 13 | 13:10 | 16 |

### გდრ

„მაგდებურგმა" საკუთარ მინდორზე აჯობა დრეზდენის „დინამოს" — 3:0. 2 გოლი გაიტანა ნახევარმცველმა სეგუინმა. „კარლ-მარქს-შტადტმა" შინ მოუგო ლიდერს, იენის „კარლ ცაისს" — 3:1.

საუკეთესო სნაიპერია პეტერი („ჰალეს „ქემი") — 11 გოლი. ფოგელი („კარლ ცაისი") მას 1 ბურთით ჩამორჩება.

| | | | |
|---|---|---|---|
| „კარლ ცაისი" | 13 | 25:9 | 22 |
| „მაგდებურგი" | 13 | 33:15 | 21 |
| „შტალი" (რიზა) | 13 | 20:19 | 18 |

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზ. კულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და კადრების განყოფილებაში — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომცემი — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.